

მშვიდობის ჟურნალისტიკაში 2015 წლის სპეციალური პრიზის მფლობელი გამოვლინდა

Author: [IWPR Georgia](#)

2016 წლის 20 იანვარს ევროკავშირის პრიზის ჟურნალისტიკაში გამარჯვებულები დააჯილდოვეს.

ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში, რომელსაც საფუძველი 2012 წელს ევროკავშირის წარმომადგენლობამ ჩაუყარა, პირველი ასეთი ინიციატივაა საქართველოში, რომლის მიზანია ქართულ მედიაში ისეთი ჟურნალისტური ნაშრომების აღიარება, რომელიც ხელს უწყობს ევროკავშირის ღირებულებების უკეთ გაგებას, შესრულებულია პროფესიონალურ დონეზე და ჟურნალისტური ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით.

უკვე მესამე წელია, რაც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ მშვიდობის ჟურნალისტიკაში სპეციალური პრიზი დაანება კონფლიქტების ეთიკური, სამართლიანი და მიუკერძოებელი გაშუქებისთვის.

“ მშვიდობის ჟურნალისტიკაში, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა მხარეს, ყველა დონეზე უნდა მისცეს აზრის გამოთქმის შესაძლებლობა – გადანაცვების მიმღები პირებიდან დაწყებული დაზარალებული მოსახლეობით დასრულებული. ჩვენ მშვიდობის ჟურნალისტიკას გაყოფილი მხარეების დამაკავშირებელ აუცილებელ ინსტრუმენტად აღვიქვამთ, რომელიც ხელს უწყობს ურთიერთგაგებას და საბოლოოდ კონფლიქტის მოგვარებისკენა მიმართული”, განუცხადა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ ერიკ ჰოგმა ცერემონიაზე დამსწრე საზოგადოებას.

2015 წლის სპეციალური პრიზის მშვიდობის ჟურნალისტიკაში გამარჯვებული ნინო ჩიფჩიურია სტატიით “ექიმები კონფლიქტის რეგიონში ჯანმრთელობის ხიდებს აშენებენ”, რომელიც ონლაინ გამოცემაში „ქალები ერთიანდებიან მშვიდობისათვის – ცვლილებათა ერთი ხმა“ გამოქვეყნდა.

“ ეს ჯილდო ჩემთვის ბევრს ნიშნავს და მიბიძგებს კიდევ უფრო დიდი მონდობით გაავარძელო საქმიანობა“ – განაცხადა ნინო ჩიფჩიურმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის მოადგილის მილოცვაზე პასუხად. მან ასევე დასძინა, რომ ეს ჯილდო სასიამოვნო სურბპრიზია, რომელიც მეტად მოულოდნელი იყო.

ქ-ნ ჩიფჩიური ერთი თვით გაემგზავრება ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის (IWPR) სათავო ოფისში, ლონდონში, სადაც მას შესაძლებლობა ექნება გაეცნოს სიახლეებს ჟურნალისტიკაში, კონფლიქტების კვლევების სფეროში და ასევე გააფართოოს პროფესიული კავშირების ქსელი.

სხვა კატეგორიებში 2015 წლის ევროკავშირის პრიზის ჟურნალისტიკაში გამარჯვებულები არიან:

საუკეთესო საგამომძიებლო სტატია ბეჭდვით ან ონლაინ მედიაში
ზურაბ ვარდიანაშვილი – “სიღარიბის შვილები”

საუკეთესო საგამომძიებლო ტელე/რადიო სიუჟეტი
ლია ტოკლიკიშვილი (თანაავტორი მაია გოგოლაძე) – “ოქროსთვის შეწირულები”

საუკეთესო ონლაინ ან ბეჭდური ბლოგი
ანუნა ბუკია – “პაციენტის დღიურები”

ყველაზე ინფორმატიული ონლაინ მედიასაშუალება
“ჩაი ხანა მულტიმედია”

საუკეთესო დოკუმენტური ფოტო
დარო სულაკაური – “ნაადრევი ქორწინება”

Location: [Georgia](#)

Topic: [Journalism](#)
[Training](#)

Focus: [Project Highlight](#)

Source URL: <https://iwpr.net/ka/global-voices/%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98-2015-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98>